 12 მაისი, ხუთშაბათი. № 87.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთი თვისა . . . | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი; ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი; წვრილშრიფტით ასოთ სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

# ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

## რუსეთიდამ

**მოსკოვი**, 10 მაისს. დღეს 3¹/₄ საათისას ხელმწიფე იმპერატორი შებრძანდა კრემლი სასახლეში. მთელი მოსკოვი დიდის აღტაცებით მიეგება. ქალაქის პირში მიეგება მოსკოვის გენერალ გუბერნატორი; მგელ სტრიუმფო კარებთან დახვდნენ სამოქალაქო წოდების წარმომადგენელნი; გენერალ გუბერნატორის სახლთან მიეგებნენ თავად-აზნაურობა. ივერიის სასწაულთ მოქმედი ხატის კარებთან იმპერატორი ცხენიდამ ჩამობრძანდა და ელოდა იმპერატრიცას. როდესაც კარეტა დადგა, ხელმწიფე იმპერატორმა მისცა ხელი და გამოიყვანა კარეტიდამ თავისი მეუღლე. მერე ერთად ემთხვნენ ჯვარს, რომლითაც მიეგებათ ეპისკოპოსი დმიტროვსკისა, ამის შემდეგ შევიდნენ სამლოცველოში და ემთხვივნენ ივერიის ღვთის მშობლის სასწაულთ მოქმედ ხატსა, წითელ მოედანზედ მოისმინეს ჰიმანი, რომელიც უგალობეს 6000 დამწკრივებულმა სხვადა-სხვა სასწავლებლების შეგირდებმა: ქალმა და ვაჟმა. შემდეგ მიეგებნენ სამღვდელოება და უწმინდესის სინოდის წევრნი.

**პეტერბურღი.** „დაწესებულებათა კრებაში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული გადაწყვეტილება სახელმწიფო რჩევისა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის გამგეობაზედ.

## სად გაჰქრა სამეურნეო სკოლა?

ტფილისი, 11 მაისი.

ტყუილად კი არა ვთქვით გუშინ, რომ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას არავითარი გამორკვეული პროგრამა არა აქვს, არავითარს გაკვალულს გზას არ ადგას და ამიტომაც მოხდება ხოლმე, რომ ხან სხვა-და-სხვა გვარის რთულის მაშინებით გლეხ-კაცობას თვალს უჭრელებს, ხან მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობს, რომ სამეურნეო სკოლა დააარსოს და ამ უკანასკნელის შემწეობით გაავრცელოს ხალხში მეურნეობის ცოდნა. დიაღ, ეს დალოცვილი საზოგადოებაც უფრო მოდას მისდევს, ვიდრე ნამდვილ საჭიროებას. აი ამ სამის წლის წინადაც ერთი ალიაქოთი ასტეხეს იმის თაობაზედ, რომ სად დაეარსებინათ ზემოხსენებული სკოლა, სად უფრო შუაგული ალაგი იყო, საიდამ უფრო ადვილად მოეფინებოდა ჩვენს ქვეყანას „ნათელი ჭეშმარიტებისა“. დაინიშნა კომისია, რომელმაც ალაგი ამოირჩია სკოლისათვის; ასტყდა ამის თაობაზედ ცხარე ბაასიც, მაგრამ გაიარა დრომ, დასცხრა პოლემიკა და ეხლა სამეურნეო საზოგადოების წევრთა, დარწმუნებული ვართ, იმ სოფლის სახელიც აღარ ახსოვთ, რომელიც ამ სამის წლის წინად სკოლისათვის ამოირჩიეს.

აკი ვამბობთ, მოდაა! ჯერ იყო მოდა სამეურნეო სკოლისა და მისის კომისიისა, ახლა გაჩნდება მოდა მაშინების გასინჯვისა, მასუკან ჩაის ბუჩქის გაჩენაზედ მოინდომებენ ზრუნვას და იქნება ბოლოს წაიკითხოს ვინმე სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენება შესახებ ჩრდილოეთის ოკეანედამ შავ-ზღვაში ვეშაპების გადმოყვანისა და მოშინაურებისა!

ჩვენ როდი ვამბობთ, რომ მარტო სამეურნეო სკოლაზედ იყოს დამოკიდებული ბედი ჩვენის ქვეყნისა. ჩვენ ამითი გვინდა მხოლოდ მოვაგონოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ არც ერთი კაცი, არც ერთი საზოგადოება თავის წადილს ვერ შეისრულებს, თუ გადაწყვეტილი პროგრამა არა აქვს და პროგრამა მეტადრე უფრო საჭიროა ამისთანა საზოგადოებისათვის, რომელსაც მთელის კავკასიის მეურნეობა ხელში აბარია და მთავრობისაგანაც ყოველ წლივ გვარიანი შემწეობა ეძლევა ამ საქმის რიგიანს გზაზედ დასაყენებლად.

## ახალი ამბები.

— ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ქუთაისის სამოქალაქო რჩევას ასორმოც-და-ათი თუმანი მიუცია ერთი ადვოკატისთვის, რომელმაც კორონაციის დროს მუქთი წარმოდგენები უნდა გამართოსო. ეს პირი ჩამოვიდა ტფილისშიო და ვიღაცა ივგოროვს მოურიგდაო, მაგრამ ამ უკანასკნელს არავინ მიზდევს, რადგანაც არ ენდობიანო.

სასურველი არის, შევიტყოთ, რამდენათ მართალია ეს ხმა და თუ მართალია ეს ხმა, რამ აიძულა ქუთათური სამოქალაქო რჩევა ამ გვარ საქმეში ადვოკატების ჩარევით?

ქუთათურნი ქართველები არიან და თუ სახალხო დროსგატარება უნდოდათ, პირ-და-პირ დაიბარებდნენ ჩვენს დრამატიულ დასის ამხანაგობას, რომელთაც ხალხის გასაგებს ენაზედ შეეძლოთ წარმოდგენების გამართვა.

— დაჭეშმარიტებით გვაცნობებენ, რომ დრამატიული საზოგადოების კრება მოხდება ამ ცოტას ხანში.

სჭეელია, ამ საზოგადოების ყველა წევრი თავის მოვალეობათ ჩასთვლის, უეჭველად დაესწროს ამ დღეს, რადგანაც, ცოტა არ იყოს, დაგვიანდა ეს კრება და ამ საზოგადოებას-კი მოსალაპარაკებელი და მოსაფიქრებელი ბევრი რამა აქვს.

— კორონაციისათვის ტფილისიც ემზადება, ირთვება; ბევრგან ფლაგები უკვე გამოუკიდნიათ, ბევრგან საჩირაღდნები იმართება.

— ქართველს საზოგადოებას მოელის ერთი სასიამოვნო ამბავი. ამბობენ, ამ მოკლე ხანში გაიხსნება ქართული წიგნების მაღაზია, რომელსაც საკმაო სათავნო ფული აქვსო და იკისრებს ქართული წიგნების გამოცემასაო.

ჩვენ ვისურვებთ ამ ხმის ჩქარა გამართლებას, რადგანაც თავი მოგვაძულა იმ გვარმა გამოცემეებმა, როგორიც არიან: „მიკრასკოპიული ორგანიზმნი“, და აშპაშხანური ლექსები.

---

**«დროების» ფელეტონი**, 12 მაისს.

## ახალი მოღვაწეობა ქართულს მწერლობაში

(ბიბლიოგრაფიული წერილი)

(გუძღვნი ა. მ. ყ—სას.)

სიამოვნებით ვკიდებ ხელს კალამსა. ამ ახლო ხანებში ახალი ქართული ჟურნალი დაიბადა ქუთაისში.

ჩემს წინ სტოლზედა მდებარე მხიარულად გადმომყურებს კოხტა, ლამაზი პატარა წიგნი, პირველი ნომერი „ქართულის ბიბლიოთეკისა“.

ქართველური ქალის შნო და ლაზათიანობა, ქართველი ქალის ეშხი, თითქო დაეტყო ამ კეკლუცად მოლიმარე წიგნსაც.

დიდი ხანია ისმოდა, რომ ქუთაისში შესდგა პატარა ამხანაგური წრე რამდენისამე ქალისა, რომელთაც მოუწადინებიათ მუშაობა სალიტერატურო ასპარეზზედ. ეს პატარა წიგნი— პირველი ნაყოფია ამ წრის ჯაფისა.

სულით და გულით თანაგრძნობის ღირსია ეს ქუთათური ქალების მოწადინებული საქმე.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და გაგამარჯვებინოთ!..

იმუშავეთ, იშრომეთ ჩვენი მწიგნობრობის და სიტყვიერების ასპარეზზედ. ამით, სხვა არა იყოს-რა, ქართველი ქალის სახელს დაიმსახურებთ.

უწინ, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, ვინ იყო, თუ არ ქართველი ქალი, ჩვენი მწიგნობრობის პატრონი, ჩვენი სიტყვიერების დამცველი, წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქვეყანაში სინათლის მომფენი, საუკეთესო თხზულებათა ზეპირ-გადმომცემი და გადამწერ-გადმომწერი?

ჩვენამდის თუ მოაწია მშვენიერმა, მდიდრულმა ქართულმა ენამ და მისმა განსხვავებულმა ნაწარმოებმა— მხოლოდ უწინდელი ქართველი ქალის, ქართველთა დედის მეოხებით.

ჩვენი მამა-პაპანი ებრძოდენ აუარებელს გარეშე მტერს და იცავდენ სამშობლო მიწა-წყალს, დედა-ქვეყანას, ტერიტორიას.

ჩვენი დედები — იფარვიდენ სამშობლო ენას, დედა-ენას.

ამ ნაირად, უწინდელი ქართველი— კაცი და ქალი—ხანგრძლივსა და დაუცხრომელ ბრძოლაში ორნივე—იცავდენ საქართველოს.

„გრძელი სიცოცხლე (საქართველოს) არის ბრძოლა გრძელი,

მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი!..“

ამ ბრძოლაში უწინდელი ქართველი ქალი გამარჯვებული გამოვიდა: რაც განგებამ მის ხელთ პატრონობას მიანდო,—ქართული ენა, ხელ-უხლებელი, შეურყეველი—გადმოგვცა ჩვენა.

ამ უწინდელი ქართველი ქალის სურათი გქონდესთ, ქალბატონებო, თვალ-წინ და იმეცადინეთ, რომ დაიმსახუროთ თქვენცა დიდებული სახელი ქართველი ქალისა.

„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!“

სთქვა შოთა რუსთაველმა.

ნეტარ-ხსენებულის ვორონცოვის დროიდან ხელ-ახლად აღორძინდა თითქო ნანგრევებიდგან ქართული მწერლობა. მას აქეთ, თან-და-თან იზრდება და ფრთებს იშლის ქართული მწიგნობრობა და სიტყვიერება.

ამ თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში აღმობრწყინდენ ჩვენთვის სამუდამოდ დაუვიწყარნი ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და ორიოდე კიდევ ჩვენი თანამედროვე ქართული სიტყვიერების მედროშენი...

ერთად-ერთ ქალს გარდა, რომელიც ეს არის ახლა, ამ უკანასკნელ წლებში, გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზედ თვისი ღირს-შესანიშნავი ნიჭიერებით,—ამ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენს ქალებს ძალიან ნაკლებად მიუღიათ მწერლობაში მონაწილეობა.

ხან-და-ხან აქა-იქ ჟურნალ-გაზეთებში შეგხვედებოდათ ღიალაც მშვენიერი ლექსები, ქალის სახელით ხელმოწერილი (მაგალითად ზოგიერთი ლექსები კნეინა ნინო ორბელიანისა)

— ქიევიდგან გვატყობინებენ, რომ ერთს მოსწავლე სომეხს თავი მოუწამლავს, რადგანაც საცხოვრებლად საშუალება არა ჰქონოდა.

ჩვენ გვიკვირს, რომ ისეთს ფულიანს ხალხს, როგორც სომხები არიან, ვერ მოუხერხებიათ თავიანთ მოსწავლე ყმაწვილ კაცებს ლუკმა პურის საშუალება მაინც აღმოუჩინონ.

— კახეთიდგან გვწერენ: ჩინებული ამინდი დგასო და კარგს მოსავალს მოველითო.

— ბ. შენინგის პავილიონი, ალექსანდროვის ბაღში სწორეთ საზოგადოების საცარცვავი შეიქნა. საჭმელებს ამზადებენ საძაგლად და ძვირად, კერძი წვნიანი 30 კაპ. იყიდება, როდესაც ტფილისის არც ერთს სასტუმროში 20 კაპეიკზედ ზევით არ არის. მსხლის წყალი რაც აქამდის 18 კაპეიკად ისყიდებოდა, ეხლა შვიდი შაური გახადეს!

ნუ თუ ქალაქს ნება არა აქვს, იმათ გაუმაძღრობას ბოლო მოუღოს? ეს ნება მით უფრო უნდა ჰქონდეს, რომ ბაღში ადგილი მუქთად დაუთმეს და ფულით შემწეობა მისცეს.

— გუშინდელ ნომერში დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა, რომ სერგეი მესხის გამოსალმების სადილზედ მოვიდა თანაგრძნობის დეპეშა ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელთაგან. სადილზედ დამსწრე საზოგადოებამ ალტაცებით მიიღო ეს ტელეგრამა და მაშინვე პასუხად გაგზავნა „შრომის“ რედაქციაში ტელეგრამა, რომელშიაც აქაური საზოგადოება გულითადს მადლობას უცხადებდა ქუთაისის საზოგადოებას თანაგრძნობის ტელეგრამისათვის ჩვენის დამსახურებულს მოღვაწისადმი.

აგრეთვე დიდის თანაგრძნობით მიიღეს „დროების“ დამაარსებელის ბ. წერეთლის სადღეგრძელო ბ. ს. მელიქიშვილისა, რომელიც ჩვიდმეტი წელიწადი ამ გაზეთს თავის ხარჯითა ჰბეჭდავდა აგრეთვე ახალის გამომცემლის ბ. ქართველიშვილისა.

— ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ვაჭრებს და მთელ ხალხს გაუგზავნიათ მინისტრისთვის ტელეგრამა, ჩქარა რკინის გზა გაგვიხსენითო.

— 9 მაისის სხდომაზედ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი პროგრამა იმ დღესასწაულისა, რომელიც ქალაქმა უნდა გადაიხადოს იმპერატორის გვირგვინის კურთხევის გამო. იუქმებენ სამ დღეს. პირველ დღეს ყველა სარწმუნოების სამღვდელოება ერთად გადაიხდიან პარაკლისს ერევნის მეიდანზედ, რომელზედაც დაესწრებიან: ქალაქის წარმომადგენელნი, ამქრები ბაირაღებით და მთელი ჯარი. პარაკლისის შემდეგ, ამქრებს წინ გაუძღვებათ სამხედრო მუსიკა და ჩავლენ ალექსანდროვის ბაღში, სადაც დაუკრავს სახალხო ჰიმნს. მერე სამხედრო მუსიკა და ზურნა მთელი დღე დაუკვრენ ალექ. ბაღში, ავლაბრის მეიდანზედ და მუშტაიდში. საღამოზედ იქნება ილიუმინაცია და შუშხუნები მთაწმინდაზედ, არსენალთან და სოლოლაკზედ.

მეორე დღეს იქნება გამართული სახალხო ლხინი ალექს. ბაღში ზურნით და სამხედრო მუსიკით, დღისით 12 საათზედ ბაღიდან ჰაეროსტატს აუშვებენ. სახელოსნო სკოლაში იქნება გამართული საღამო ყველა სამოქალაქო სკოლების შეგირდებისთვის. მესამე დღეს სახალხო ლხინი ბოტანიკურ ბაღში. დილის შვიდი საათიდან საღამოს 8 საათამდე მუსიკა და ზურნა იქნება. გარდა ამისა ამ სამი დღის განმავლობაში სხვა კიდევ ბევრს ალაგას იქნება გამართული საქანელები კარუსელები, მუსიკა დაუკრავს და მომღერლები იქნებიან. აგრეთვე ამ სამ დღეს უკეთეს საჭმელს მისცემენ ტუსაღებს.

— 4 მაისის სხდომაზედ ქუთაისის სამოქალაქო საბჭოს გადაუწყვეტია ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევა სამ დღეს იდღესასწაულოს შემდეგი პროგრამით: პირველ დღეს: საქალაქო ბაღში დაუკრავს ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა,—ერთი 11 საათიდან ორამდენ. მეორე ნაშუადღევის 4 საათიდან 10-მდე. 8 საათზედ ილიუმინაციას მოუკიდებენ და გარეშემო გორებიც განათებული იქნება, ბაღშივე იქნებიან ორი ხორო რუსული და ქართული მომღერლებისა. ქუთაისის საპატიმროში დამწყვდეულებს მიეცემათ უკეთესი საჭმელი. მეორე დღეს: ფერმაში ნაშუადღევის 4 საათიდან 10-მდე იქნება გამართული სახალხო ლხინი, რომელშიაც ყველა ამქრები მონაწილეობას მიიღებენ. მუსიკა იქნება ორი ნაირი. ნაციონალური ზურნა და სამხედრო. საღამოზედ მთელი ქალაქი განათებული იქნება. მესამე დღეს: სამეფო სახლის ეზოში 4 საათიდამ 10 მდე ზურნა და სამხედრო მუსიკა დაუკრავს და ორ ხორო მომღერლებისა იქნება კიდევ. საღამოზედ ილიუმინაციას მოუკიდებენ და ზე ქედიდან შუშხუნებს აუშვებენ.

გარდა ამისა, იმავე სხდომაზედ გარდაუწყვეტიათ, ქუთაისის ღარიბ მოსახლეებს ეპატიოსთ დასაფასებელი გარდასახადიდან სამასი თუმანი და სავაჭროსი სამოცდა ათი თუმანი

## მგზავრის შენიშვნები.

(„დროების“ კორესპონდენცია)

აღდგომის სამშაბათი იყო, როცა ჩავჯექ ორთქლით მატარებელში და გავეშურე სოფლისკენ. ჯერ ხეირიანად არ გავსწორებ[illegible]ში, რომ ერთი საშინელ[illegible] და მიუსო მინდვრებისკენ. დაიძრა მატარებელი და დაიძრა მშვენიერი ნიავიც, რომელიც, რამდენიც მატარებელი უჩქარებდა მოძრაობას, იმდენი ქარად იცვლებოდა. გამოჩნდა მშვენიერი ბუნოთი შემოსილი მინდვრებიც, დაჭრელებული სხვა-და-სხვა ზიზილა ყვავილებითა. ჯერ არ დავმტკბარვიყავით ამ მშვენიერი სანახაობით, როცა ორი სტანცია გავეტარებინე მატარებელს და მესამეს ვუახლოვდებოდი. გადავხედე ახლო სტანციაში და გავემგზავრე მუხრანისკენ. ვინ არ იცნობს მუხრანსა თავის ოთხსავ კუთხივ შემკული ბაღებით? მართალია ეხლა ისეთი კარგი არ არის, როგორც არის ხოლმე შემოდგომის პირზე, როდესაც ვენახები სავსეა დამკვრახული მტევნებით და წითელი ვაშლებით, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. უფრო კარგი იქნებოდა, რომ მუხრანს პატარა სუფთაობა ეტყობოდეს.

რამდენადაც მუხრანი კარგია, იმდენად მეორე სოფელი,—ძალისი სდგას იმაზედ დაბლა. მართალია ეს არ ჩამორჩება მუხრანს არც ვენახებით, არც სიმდიდრით, მაგრამ საკურველია თავის სიბინძურით. აქაური სახლები ჩამსხდარან მთლად დედამიწაში. კარების წინ აუყუდებიათ შეშები და, როგორც თაგვები სოროში შადიან და გამოდიან პატარა ოსის ლაპუები (ბავშვები). სწორეთ მაშინ მომაგონდა ერთი გურულისა და ქართველის ამბავი, როცა ჩემი ცხენის წინ გამოძვრა ერთი კაცი და ცხენი დამიფთხო. აი ის ამბავი: „გამოიარა გურულმა ქართლზე და ნახა, რომ ვიღაც კაცი გამოძვრა მიწური სახლიდან. მიუბრუნდა გურული და ჰკითხა: „კაცო! ბებია ჩემი არ გინახამს“? ხო არ გა-

---

ან ქალის ნათარგმნი. ერთი სამიოდე წიგნი „ქართველი ქალების თარგმანებისა“ გამოვიდა ამ ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში, დიალაც გვარიანად შედგენილი. ერთ დროს ნიადვარივით მოედო განსვენებულს „ცისკარს“ კ-ნა ბარბარე ჯორჯაძის ლექსები, დრამები, კრიტიკული და ანტიკრიტიკული წერილები, მაგრამ

„რა უთქვამს, ან რა უჩმახავს, რა და რა
დაუწერია“—

დღეს, ვგონებ, აღარავის გვახსოვს და თვით იმ დროსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია იმ კნეინის ნაწერს.

იმისთანა მოთხრობა, როგორც, მაგალითად ვსთქვათ, „ალი“ ნ. ლომაურისა, ან „რომანი დიდ-ხევაში“ და „სხვა-და-სხვა გვარი ქორწილი“ ეკ. გაბაშვილისა, იმისთანა ლექსი, როგორც „სამშობლო ხევსურისა“ რაფ. ერისთვისა, ან იმისთანა პუბლიცისტური წერილი, როგორც „რანი ვიყავით გუშინ“, იაკ. სვიმონიძისა, ვისაც ერთხელ წაუკითხავს, თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება.

იმისთანა უზარ-მაზარი დრამები, როგორც „შური“ და „მური“, იმისთანა პოემები, როგორც „შესხმითი ქება ივანე კერესელიძისა“, ან რა დასაწერი იყო, ან რა წასაკითხი, ან რა დასამახსოვნი!...

ერთის სიტყვით, ამ ჩვენს დროში ქართველ ქალს ჯერ, როგორც ვსთქვი, ძალიან ნაკლებათ მიუღია მონაწილეობა იმ სალიტერატურო მოძრაობაში, რომელიც დაიწყო ვორონცოვის დროიდან.

გასაკვირველიც არ არის აწინდელი ქართველი ქალის უფერულობა. უწინდელი დრო, „დრო მხნეობისა, ძმობის, ერთობის“, დრო მტერთან ბრძოლისა, სამშობლოს დაცვისა, შესაფერს კაცსაც და ქალსაც ჰბადავდა.—ახლანდელი დრო, დრო არის განცხრომისა, მშვიდობისა. მამა-პაპური მხნეობა დღეს ჩათუქესნობად გადიქცა. ჩვენი მამაპაპანი სიცოცხლეს მტერთან ბრძოლაში ატარებდნენ, ჩვენ მაგიერში ჩვენს სიცოცხლეს დროების გატარებაში ვხარჯავთ. ჩვენმა მამაპაპამ ძმობა რომ იცოდნენ და ერთობა, ჩვენ მაგიერში ვიცით ამხანაობა და კუდ-გადაბმულობა, რუსულად რომ იტყვიან—амикошонство.

მაგრამ თვალს მოჰკრავ ზოგიერთს იმისთანა მოვლინებასაც, რომელიც ნუგეშსაც მოგგვრის და იმედსაც გაგიღვიძებს და დაგაძახებინებს პოეტის სიტყვას:

„გვწამდესო, ღვაწლნი მამაპაპის არ განქრებიან,
გვწამდეს ეს შთენნი, ეს ნანგრევნი კვლავ აღსდგებიან,
და ქართველთ ერი წამებული კვლავ განმრავლდება,
ჩვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება!“

ამ გვარს სანუგეშო და ბნელში მოელვარე მოვლინებათა შორის უნდა ჩაითვალოს ეს ჩვენი მანდილოსნების დაწყებული საქმე.

რედაქციის წინა-სიტყვაობიდგან როგორცა სჩანს, იმათ მოუწადინებიათ გამოსცენ ქუთაისში ყოველ თვიური ჟურნალი, რომელიც უცხო ენებიდგან გადმოთარგმნილი რომანებიდგან და მოთხრობებიდგან შესდგება და ხან-და-ხან ორიგინალური რომანებისა და მოთხრობების ბეჭდვასაც იმედეულობენ. აზრად აქვთ, რამდენიმე რიგიანი წიგნი უძღვნან საზოგადოებას. დარწმუნებულნი არიან, რომ ამისთანა გამოცემას შეუძლია ჩვენს საზოგადოებაში თან-და-თან გაავრცელოს და განაძლიეროს კითხვის სურვილი და ხალისი.

იმედი აქვთ, რომ საზოგადოება თანაგრძნობით და რჩევით ხელს მოუწყობს. ჟურნალის ღირსება ან ნაკლულევანება დამოკიდებული იქნება, იმათის სიტყვით, რიგიანი თხზულებების ამორჩევაზედ და მათ ხეირიან გადმოთარგმნაზედ. მადლობით მივიღებთო გონიერს და გულ-წრფელს შენიშვნას, რომლითაც შემდეგისათვის სიამოვნებით ვიხელმძღვანელებთო. ამასთანავე იმედი აქვთ, რომ საზოგადოება მკაცრად არ მოეკიდება, თუ თავდა-პირველად ვერ შეასრულეს უნაკლულოდ მოწადინებული საქმე.

პირველ წიგნში დაბეჭდილია—ერთი პატარა მოთხრობა ფრანცუზუ-

გაქებულხარ, სადა ვენახამდიო, უთხრა ქართველმა. „პალავ! ბებია ჩემიც მიწაშია და შენცა, მაშ ვერ იცნობ? ეს არაფერი კიდევ, რომ არ ეყაროს ბანებზედ და კარებზედ იმოდენა პატივი. სწორედ დარიალის მთებსა ჰგავს იმოდენა გროვეებია. საშინელია ის დუმილი და მყუდროება, რომლითაც განირჩევიან ეს და იმაზე ზევით მდებიარე სოფლები. ვინც უნდა იყოს, ყველა მიხვდება, რომ ეს სოფლები ეკუთნიან იმ მყუდრო და დუმილა მაზრას, რომელიც არც ჭირში და არც ლხინში არ იღებს მონაწილეობას. სხვათა შორის ამ დუშეთის მაზრაში სცხოვრობს ერთი მკითხავი თურმე, რომელსაც ამ ს აღდგომოთ ყოველი თავისი ძალა გამოუჩენია. მაგალითებრ: ერთი მთვრალი მღვდელი გასჯავრებია მას და ჩხუბიც მოსვლია. მერე ის ღვდელი შინ რო წასულა დაუძინია, ხელი ცუდათ მოჰყოლია, დაბუჟებია და კინალამ გახმობია. ძიდევ კარგი, იმ მკითხავს შებრალებია და შეულოცნია, თორემ შენი მტერი მოკვდებოდა საწყალი! სხვათა შორის აქეთ გახშირებულა ქურდობა და ყაჩაღობა. ამას წინათ ერთ „მათუშკას“ დასცემიან, შტაბის ახლო, (ეგეც დუშეთის მაზრაა) შეუკრამთ, გამოუტანიათ გარეთ და დაუგდიათ. კაი ქვა ყოფილა, თორემ ან შიშისაგან და ან სიცივისაგან უნდა მომკვდარიყო. ამას, სულ ოსებს აბრალებენ, თუმცა არც ქართველები აკლებენ. ასეთი დრო ალა-მაჰმათხანობასაც არა ყოფილაო, ხალხი ამბობს. მაშინ იარაღი მაინცა გვქონდა და თავს ვიცავდით და ახლა თითო ხანჯალიც აღარ შეგვარჩინესო.

გახშირებულა ქურდობა, მაგრამ ეს კიდევ ჯანაბას, თურმე საწყალ ხალხს მოწმებს მოსთხოვენ ხოლმე, რომ ესა და ეს კაცი შენთან მართლა საქურდლათ მოვიდა, თუ არაო. საკვირველია ღმერთმანი! ქურდს რომ მოწამე ჰყვანდეს, ის რაღა ქურდი იქნება? ერთს კაცსა ვკითხე: რა მიზეზია, რომ ეგრე გახშირებულა თქვენში ქურდობა მეთქი, და აი რა თქვა: „ჩვენი ცოდო ჰქონდეს ი ადუკანტებსაო, შენი ჭირიმე, ერთი თუმანი რომ მისცე, რაც უნდა მოგიხდეს, დაგიხსნიანო. ნამეტნავათ ჩვენ საწყალს კაცს აბა რა გაუვა იმათთან, ბატონო, ერთ კანონს კი იტყვიან და ჯავრით ჯოხიც იქ დაგრჩება, თორემ სხვას კი ვერას გახდები. ი ქურდებსაც იმითი იმედი აქვთ, ქურდობენ, ნახევარს იმათ აძლევენ, და ზოგიც თითონ რჩებათ; გამრავლდება ქურდობა მარა იქნებაო? აი ემა ჩვენ დუშეთში ერთი „ადვოკატი“ არის რე არა შვრება? ვინც არა მგონია იმასთან მორბის, და იმასაც ფეხებზე ჰკიდია, თუნდ ქვეყანა ამაგდონ, ოღონდ კი ფული დაინახოს, ძალიან ძალა არა აქს ამ ოხერ ფულსა!, თორემ კაცმა კაცი როგორ უნდა დაიცვას, როცა, როგორც ღვდელს ალსარებაში ეუბნეშა: რომ ის მოვკალ, ამას ხარი მოვპარე და იმის მეტიც არა ჰყვანდაო, მაგრამ თუნდა დარწმუნებული იყოს, რომ ის ქურდი ხვალ თითონ იმ „ადვოკატსაც“ მოჰპარამს რასმე, მაინც დაიცვამ, და გამოაშვებინებსო“. არა შენი ჭირიმე, ბოლოს დაუმატა, თუ ამ ჩვენმა ხალხმა არ ვიჩივლეთ, რომ ამითანა ადუკანტები გადაყარონ სადმე, სწორედ საქმეს გაგვიჭირებენო. აი კიდევ ახალი ამბავი. ერთი სოფ. დაასახელეს. ისე გამოფიროფიტანებულა ერთი მღვდელი, რომ სწორეთ ათი წლის გოგო დაუნიშნამს და, რასაკვირველია, რომ შემოდგომისთვის ჯვარსაც დასწერამს. საკურველია ღმერთმანი, ან რა იცის ათი წლის გოგომ და ანუ ცოდვით როგორ ათხოვებენ? და ან კიდევ რატო ის ღვდელი, არას ეუბნებოდა და ნიშნობის ნებას რათ აძლევდა?

ვინმე.

---

## ბიბლიოგრაფია.

**მიკროსკოპიულნი ორგანიზმნი და მათი გამოკვლევა პარიჟის მანსურიის ობსერვატორიაში, შედგენილი ბ. ი. სტატკოვსკისაგან, ნათარგმნი ი. კერესელიძისაგან, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი 1883 წელს, ფასი ერთი აბაზი.**

როგორ გგონია, მკითხველო, ჩვენი ლიტერატურა წინ მიდის, თუ თანდა-თან უკან რჩება? თუ დააკვირდები ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც ამ ოც-და-ხუთის წლის წინად არ არსებობდენ და ეხლა კი სათვალავში ოთხი მაინც არის, თუ დააკვირდები ქართულის ენის სწავლის სურვილს ხალხში, ასე ძლიერ გავრცელებულს, გეგონება, რომ მართლა წინ მივდივართ თუ დევის ნაბიჯით არა, კუს ნაბიჯით მაინც; მაგრამ, მეორეს მხრით, სულ სხვა გვარი საბუთებია, რომელნიც თითქო წინააღმდეგს ამტკიცებენ. მართლაც, რას ნიშნავს ეს სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ და მეტადრე სახალხო ლიტერატურამ მხოლოდ ერთად-ერთი გამომცემელი იპოვნა— მხოლოდ ერთი ზ. ჭიჭინაძე, რომელსაც ტყუობა მოსწყენია მარტო მეხანიკური მუშაობა და ეხლა ნამდვილის ლიტერატურისათვისაც მიუყვია ხელი.

მართალია ჯერ ბ. ზ. ჭიჭინაძე მორცხვობს და თავის მკითხველებს მარტო წინა-სიტყვაობებითა ჰკვებავს, მაგრამ მალე დადგება ის დრო, როდესაც ჩარქვიანის წიგნის მაღაზიაში ყოველს კუთხეში გამოფენილი იქნება წიგნების ხროვა შემდეგის სათაურით: „მუშა-ხალხი საქართველოში, გამოკვლევა ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი, დრევიჩის და ა. ქალანდაძის სტამბა. მოხხიევის შენობაში“, „რანაირად არის საქართველო დაყოფილი? თხზულება ზ. ჭიჭინაძისა“ და სხვ. და სხვ.

მოვუცადოთ ამ თხზულებებს და მინამდის გავსინჯოთ ამ წიგნის წინასიტყვაობა. ბ. ზ. ჭიჭინაძე გვიქებს მისგან გამოცემულს „მიკროსკოპიულს ორგანიზმებს“ და დარიგების კილოთი ბძანებს:

„ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მოვალეა, რომ ამ გვარ წიგნაკებს ჯეროვანი ყურადღება მიაპყროს და თავიანთ შეძლების-და-გვარად უფრო ისეთი მოთხრობები გადმოგვიკეთონ ხოლმე, რომლებშიაც სხვა-და-სხვა მეცნიერული კითხვები მდაბიურად იქმნება განმარტული, თორემ რაც უნდა უხეირო რომანები სთარგმნონ და დამყაყებული ისტორიული სტატიები ღეჭონ, მაინც არავითარს სარგებლობას ვერ მოუტანენ ვერც მწერლობას და ვერც თანა-მემამულეთა.“

კარგი და პატიოსანი! მივაგდოთ გვერდზედ უხეირო რომანებიც, დამყაყებული ისტორიული სტატიებიც და შევუდგეთ „მიკროსკოპიულ ორგანიზმების“ კითხვას, რომელზედაც დამყარებულია იმედი ბ. გამომცემლისა.

მე-6-ე გვერდზედვე შევხვდით სიტყვას „კუბიკის მეტრი“ და შენიშვნაში ამოვიკითხეთ შემდეგი განმარტება:

„ოთხი კუთხე თუ რომ ერთის ზომისა არის, ანუ საჟენი, ანუ არშინი, ან მეტრი, იმას ეწოდება კუბი.“

მე ამ განმარტებიდამ, სწორე მოგახსენოთ, ვერა გავიგე-რა, მაგრამ ეტყობა მეცნიერულ წიგნებს ღრმად ლაპარაკი უხდებათ. აი, შემდეგს გვერდზედ კიდევ რა ნიმუშია მეცნიერების ღრმა ცოდნისა: „...მეიდანი სივრცით 50 ეკვატორი (მკითხველო, ჰექტარი არ გეგონოს, ამისთანა კორექტურული შეცდომა შეუძლებელია)“... არც

---

ლიდან კნ. ელენე ლორთქიფანიძის ნათარგმნი, ერთი ნაამბობი ინგლისელი ავტორისა, თვით რედაქტორის, ეკატ. ლორთქიფანიძის ნათარგმნი და ერთიც დასაწყისი ევგენია ტურის მოთხრობისა რუსულიდან გადმოთარგმნილი ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალებისაგან.

წავიკითხოთ პირველი მოთხრობა: „მამულის სამაგალითო შვილი“.

არის დედა-მიწაზედ ერთი ხალხი, ერთი ქვეყანა რომლის ბედი და უბედობა მრთელი კაცობრიობის ბედს და უბედობას შეადგენს. ამ ხალხს, ამ ქვეყანას ბევრი რამ გარდახედია და მისი თავ-გარდასავალი—კაცობრიობის ისტორიას შეიცავს. ეს ხალხი მუდმივსა, დაუცხრომელ ბრძოლაშია და მრთელი კაცობრიობის წინა-მიმძღვეელად შეიქნა.

ამ უკანასკნელს დროს, ამ დიდებულს ქვეყანას, საფრანგეთს, დიდი უბედურება ეწია. საფრანგეთისა და მრთელი კაცობრიობის მოღალატე დარდიმანდებმა ომი აუტეხეს გერმანიას და საფრანგეთი იმ ომში ჩაითრიეს.

მამაცურად, ლომურად ებრძოდა საფრანგეთი ნემეცებს, გმირულად წამოდგა ხალხი გამბეტტას ღონიერს ხმაზედ, თავ-განწირულმა მამულიშვილობამ ის იყო სძლია ბისმარკის და მოლტკეს აუარებელ ჯარსა, კიდევაც იხსნიდა სამშობლოს, მოულოდნელი, საზარელი, ულმერთო ღალატობა რომ არ მოეხდინა ბაზენს.— მშობელი ქვეყანა გასცა ამ ღვთისა და დედის მოღალატემ მტერს და ასე გათავდა ეს ფრანკო-პრუსსული ომი.—გერმანიამ წაართვა საფრანგეთს ორი მშვენიერი პროვინცია: ელზასი და ლოტარინგია.

ყოველს ქართველს გული უნდა უძგერდეს ფრანცუზთა თავ-გარდასავალის სმენით და წაკითხვით.

საფრანგეთი—„ფენიქსებრ აღყვავებული“ ისევ იმ მოწინავე ქვეყნად დარჩა დედამიწაზედ, რაც იყო. ხალხი ისევ ის მხნე, მამაცი და სინათლის მომფენი ხალხია, რაც იყო და პოეტმა რომ სთქვა, ითქმის ფრანცუზებზედაც:

„ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა,
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ადამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

ერთი დარდი კი აქვს გულში ღრმად ჩანერგული ყოველს ნამდვილს საფრანგეთის პატრიოტს: დაიხსნან გერმანიის მფლობელობიდგან ის ორი მხარე—ელზასი და ლოტარინგია.

პატარა მოთხრობა, რომელსაც სათაურად აწერია; „მამულის სამაგალითო შვილი“, გვიხატავს სურათს ერთი ელზასელი დედა-კაცისას იმ საზარელ დროს, როცა ნემეცები შევიდნენ საფრანგეთს. მშვენივრად გამოხატული ამ დედა-კაცის ყოფა-ცხოვრება თვალწინ წარმოგვიდგებათ კითხვის დროს.

ადრე დაქვრივებულმა სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალი გამოზარდა. მუყაითობით და მეცადინეობით ლამაზად გამართა თვისი სახლ-კარობა. ორი ვაჟი-შვილი სამსახურში შევიდნენ პოლკებში; მესამე სწავლობდა სასწავლებელში. გასათხოვარ ქალსაც გამოუჩნდა საქმრო, ერთი ყმაწვილი-კაცი, ნემეცი.—ამ დროს ასტყდა ომი ფრანცუზებსა და ნემეცებს შორის. ქვრივის შვილები, ჯერ ორი უფროსი და მერმე მესამეც, როგორც ფრანცუზები, ეომებოდნენ ნემეცებს და ამათი სასიძო, ნემეცი ყმაწვილი-კაცი, შევიდა ნემეცების ჯარში და ეომებოდა ფრანცუზებს. ომი იმით გათავდა —რომ ნემეცებმა მოუკლეს ქვრივს ორი უფროსი შვილი, უნცროსი ჩამოუხრჩეს ხეზედ, სახლ-კარი და ბინადრობა აუოხრეს და მისი სამშობლო ქვეყანა—ელზასი დაისაკუთრეს. —მოთხრობაც რომ ამით გათავებულიყო—მშვენიერი გამოვიდოდა და დიდს შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზედ.

ნ. ღიმიტრიძე.

(გაგრძელება)

ლათინურს ენაზედ გხლებიათ სუსტად ბ. წიგნის შემადგენელი. აი როგორ ფიგურალურად სთარგმნის ლათინურს თხზულებას *omne vivum ex ovo*—„ყველა ცხოველს, გამოსულს კვერცხიდგან, ჰყოლია დედ-მამა“.

—

ქმარა მასხრობა, კმარა, რადგან ამდენი ხ ნი სიცილი ამისთანა სამწუხარო მოვლენაზედ გმობაა ლიტერატურისაც და საზოგადოებისაც. დაგეთანხმებით, რომ ზ. ჭიჭინაძე შესამჩნევი პირი არ არის, რომ თითონვე „მიკროსკოპიული ორგანიზმია“ ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ეს „მიკროსკოპიული ორგანიზმი“ წელიწადში ოცს წიგნს მაინცა ჰბეჭდავს და ჰბეჭდავს რაც კი მოხვდება ხელში, ოღონდ კი მუშტარი იშოვნოს. ვიდრე ლიტერატურის ნაწარმოებებსა ჰბეჭდავდა, კიდევ მადლობა ღმერთსა, მაგრამ რა დაუშავა მეცნიერებამ, რომ ასე საცოდავათ ეკიდება მას, ჰექტარს ეკვატორისაგან ვერ არჩევს, კვადრატს კუბისაგან და ლათინურს თხზულებას რომ სთარგმნის, რაღაც ჩინური ანდაზა აქვს თვალ წინ წარმოდგენილი.

ვადმოცემა ამ წიგნის შინაარსისა ყოვლად შეუძლებელია. იგია ნაყოფი მეცნიერებისა, მაგრამ უმეცრებისაგან ისეა დაჯიჯგნილი, რომ ნამდვილსა და სიცრუეს კაცი ერთმანერთში ვერ გაარჩევს.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხემოსნოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 ს საათიდამ $10^1/_2$-მდინ ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^1/_2$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ჭკისხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

**ეჭ. ნოვოსარტიანცი.**

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საქიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარაღევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგარა შემდეგის 1883—1887 წ. ოთხის წლისათვის ქალაქის სამმართველოს ამომრჩევლების სიების შედგენას, გალად სდებს თავის თავს სთხოვოს ქალაქის მცხოვრებთ თავის დროზედ შემოიტანონ მათს უძრავს მამულებზედ გაწერილი დაფასებითი (оцѣночный сборъ) გარდასახადი, როგორც ძველი ისე ამ მდგომარე წლისა და აგრეთვე შოსსეს გარდასახადი ძველი წლებისა, რადგან ამ გარდასახადების დროზედ შემოუტანლობა ართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას ამომრჩეველებთ შეკრებილებაში. (4 მ. 1964 სტ. ტ. II ნ. I გამ. 1876 წ.). (3—3)

—

პეპინოვის კანტორაში მიღებულია **ანგლო-ბოლგარიული გუთნები** ჭოვარდისა. (3—3)

## საგლოგუსო კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდზე. ერთად-ერთი აგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, საღესი, პარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ჩარები, ბინოკლები, რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაჟკი—20 კ. (100—12)

ინგლისის მაღაზიაში



**თმის ამომყვანი** ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—72)

**ნი მაქმასტერი** აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

მაჭადარეთ ნვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოხუცის ნაიხ—1 მ.40 კ.

— — —1—20  — —1—60

— — —1—40  — —1—80

— — —1—60  — —2— „

— — —1—80  — —2—50

საუკეთესო—2— „  — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—72)

**ისყიდება** რამდენიმე ნაჭერი მიწა იაფად მტკვრის ნაპირზედ, ახალი ხიდის ახლო, იკითხეთ ინგლისის მაღაზიაში. იქვე ბომაზეი, საქალო და საკაცო უნაგირები და სხვა მრავალი საქონელი იაფად. (5—3)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ ვინამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანაჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—60)

## იტალიანური ოპერის მომღერალი

# ფ. ქორიძე

მცოდნე საფუძვლიანად ხმის განვითარებისა და განვარჯიშებისა, იტალიანურის მეთოდითა, ასწავლის სიმღერას ფრიად მცირე ფასით. ხოლო მეყსიერთა და ნიჭიერთა ღარიბთა თითქმის მუქთად. გარდა ამისა ასწავლის იტალიანურს ენას.

**ზ. მ. ქორიძისა**, მცოდნე მუზიკისა: პრაქტიკულად და ტეორეტიკულად ასწავლის ფორტეპიანოს და ენებსა, რუსულს, იტალიანურს, ფრანცუზულს და ნემეცურს, ფრიად მცირე ფასით.

ბაზარის ქუჩა, № 20. სახლი ერისთავისა (ადრე თამამშოვისა). (5—3)

## ტაქსია

**საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მაისიდამ 1 ივნისამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |